იაპონიის ელჩმა, ბ-ნმა ტოშიო კაიტანიმ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯილდო მიიღო. ჯილდოს გადაცემის ცერემონია გაიმართა უნივერსიტეტში 17 აპრილს. უნივერსიტეტის რექტორმა, ბ-ნმა გიორგი შარვაშიძემ იაპონიის ელჩს გადასცა ჯილდოს დამადასტურებელი საბუთი და ჯილდო „უნივერსიტეტის მედალი“. აღნიშნული ჯილდო გადაეცემათ სხვადასხვა სფეროში გამორჩეული ლიტერატურული ქართული ენით მეტყველებისათვის და ქართული ენის მხარდაჭერაში და განვითარებაში წვლილის შემტან პირებს. უნივერსიტეტის რექტორმა მისალოც სიტყვაში აღნიშნა, რომ „ ჩვენ, ქართველები ძალიან მოხარულები ვართ იმ ფაქტით, რომ იაპონიის ელჩი ინტენსიურად სწავლობს ქართულ ენას, ოფიციალურ სიტყვას ქართულად წარმოსთქვამს და ქართულ სიმღერებსაც მღერის. ვფიქრობ, რომ კომისიამ ამ ჯილდოს შესაფერისი მიმღები შეარჩია“.
იაპონიის ელჩმა წარმოსთქვა სამადლობელი სიტყვა ქართულ ენაზე.

იაპონიის ელჩთან, ბ-ნ ტოშიო კაიტანისთან ერთად, ჯილდო გადაეცა შემდეგ პირებს:

- ნიაზ მამრიკაშვილს (ქართველი ჟურნალისტი)
- ლანა ღოღობერიძეს (საზოგადო მოღვაწე)
- დონალდ რეიფილდს (ინგლისელი ქართველოლოგი. დაესწრო მისი წარმომადგენელი)

უნივერსიტეტის ჯილდოს კომისიაში შედიან:

- მიხეილ ჩხენკელი (პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე)
- რამაზ ჭილაია (პროფესორი)
- რატი ამაღლობელი (მწერალი)
- გაგა ლომიძე (ფილოლოგიის დოქტორი, აკადემიური საბჭოს წევრი)
- ზურაბ გაიპარაშვილი (ისტორიის დოქტორი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი)
- რევაზ იუკურიძე (ფილოლოგი, ჟურნალ „კულტურა პლუსის“ რედაქტორი)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ბ-ნი გიორგი შარვაშიძე გადასცემს უნივერსიტეტის ჯილდოს იაპონიის ელჩს, ბ-ნ ტოშიო კაიტანის

ელჩის სიტყვა დაჯილდოების ცერემონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
„ქართული ენის დღესთან“ დაკავშირებით
გამორჩეული ლიტერატურული ქართული ენით მეტყველებისთვის გამარჯვებულს,

მის აღმატებულებას ტოშიო კაიტანის

აჯილდოებს უნივერსიტეტის მედლით
ნომინაცია „დიპლომატი“

In connection with the **Day of the Georgian Language**,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University awards
H.E. *Ambassador* **Toshio KAITANI**
with the University Medal in recognition of his mastery of the Georgian language
Nomination: "Diplomat"

UNIVERSITAS TPHILISENSIS 1918

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორი გიორგი შარვაშიძე

Rector of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Giorgi Sharvashidze

2017

უნივერსიტეტის ჯილდოს გადაცემის დამადასტურებელი საბუთი

„უნივერსიტეტის მედალი“ იაპონიის ელჩს